



ქვეყნის კეთილდღეობაზე გრუნვა ბავშვის
ადრეულ ასაკში ინვესტიციით იწყება



საქართველოს
პარლამენტი



რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ქალებსა და ბავშვებში მალნუტრიციის ადამიანური და ეკონომიკური ზიანის შესამცირებლად

ზოგადი მიმოხილვა

„ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკურ ცნობარსა“ (2010-2011 წ.წ.) და „საქართველოს ეროვნულ ნუტრიციულ კვლევაში“ (2009 წ.) შესული ნუტრიციული სტატუსის 8 ძირითადი ინდიკატორის საფუძველზე დადასტურებულია, რომ საქართველოს ნახევარ მილიონ მოქალაქეს – მათ შორის უმეტესად ბავშვებსა და ქალებს – აღენიშნებათ მალნუტრიციის რომელიმე ფორმა. ეს კი, იმას ნიშავს, რომ ისინი სრულად ვერ გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს, როგორც მოსწავლეები, მუშაკები, მოქალაქეები თუ მშობლები. წინამდებარე ანალიზი ეხება, როგორც სიკვდილიანობისა თუ ავადობის რისკების, ასევე, გონებრივი თუ ფიზიკური უნარების დეფიციტის ზრდის იმ საერთო სიმპტომებს, რომლებიც დაკავშირებულია მალნუტრიციის კონკრეტულ ინდიკატორებთან და რომლებიც ვლინდება საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ თუ ეკონომიკურ გარემოში.

კვლევა აღწერს მალნუტრიციასთან დაკავშირებული ეროვნული ზარალის მასშტაბებს:

- ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 300 ბავშვი იღუპება დედის ანემიის, მცირე წონის, ფოლიუმის მჟავასთან დაკავშირებული თანდაყოლილი ანომალიებისა და სუბოპტიმალური ძუძუთი კვების გამო.
- რკინის დეფიციტით განპირობებული ბავშვთა შემეცნებითი განვითარების შეფერხებითა და ზრდაში ჩამორჩენით გამოწვეული მომავალი პროდუქტიულობის დანაკარგი წმინდა ამჟამინდელი ღირებულებით ყოველწლიურად 60 მილიონ აშშ დოლარზე მეტს შეადგენს.
- რკინადეფიციტური ანემიის შედეგად მანუალური სამუშაოს შემსრულებელთა პროდუქტიულობის დაქვეითებით გამოწვეული დანაკარგი ყოველწლიურად 20 მილიონ დოლარს შეადგენს.
- ახალშობილთა წონის ნაკლებობა, ფოლიუმის მჟავასთან დაკავშირებული თანდაყოლილი ანომალიები და არაექსკლუზიური ძუძუთი კვება საჭიროებს სოციალური სერვისების გადაჭარბებულ მოხმარებას, რაც ყოველწლიურად 15 მილიონი დოლარის დანახარჯს შეადგენს.
- 10 წლის განმავლობაში მალნუტრიციამ ქვეყანას \$ 1.3 მლრდ. ზარალი მიაყენა და 3400 ახალშობილის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ხსენებული ტვირთი, ამავე დროს, ცხადყოფს, რომ მარტივი, ხელმისაწვდომი და ადვილად განსახორციელებელი ნუტრიციული ინტერვენციების მეშვეობით შეიძლება

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფეხმძიმეთათვის, დედებისთვის, 0–6 თვის ბავშვებისთვის და მთელი მოსახლეობისთვის) და საგრძნობლად დაჩქარდეს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური თუ ეკონომიკური განვითარება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ძირეულად დასაბუთებული და ნაცადი ნუტრიციული დანამატებისა და შემეცნებითი ინტერვენციების პაკეტს, რომელიც ეხება ზარალის შეფასების ანგარიშში მითითებულ სპეციფიკურ მაჩვენებლებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ყველაზე დიდი რისკის შემცველ სეგმენტებზე. საერთაშორისო მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ შემოთავაზებული პორტფოლიოს განხორციელებამ შეიძლება ერთი მეოთხედით შეამციროს ყოველი ათწლეულის \$ 1.3 მილიარდიანი დანახარჯი და თითქმის 1000 ბავშვი გადაარჩინოს დაღუპვას.

ნუტრიციული ინტერვენციების ინტეგრირებული პორტფოლიოს (IPNS) ინტერვენციების შედეგად 10 წლის განმავლობაში მოსალოდნელი სარგებელი				
ნუტრიციული ინდიკატორი	საწყისი ზარალის შეფასება	ეფექტიანობა	დაფარვის არეალი	პროგრამის სარგებელი
არასაკმარისი წონა	\$5.32	25%	74.0%	\$0.98
მცირე წონა დაბადებისას	\$106.20	10%	92.7%	\$9.84
პერინატალური სიკვდილობა	\$62.47	25%	92.7%	\$14.48
სუბოპტიმალური ძუმუთი კვება	\$83.58	50%	94.6%	\$39.53
ნერვული მილის დეფექტები	\$62.39	70%	77.5%	\$33.85
ზრდაში ჩამორჩენა	\$520.75	25%	74.0%	\$96.29
რკინის დეფიციტი ბავშვებში	\$203.42	30%	78.0%	\$47.60
რკინადეფიციტური ანემია ზრდასრულებში	\$269.20	50%	75.0%	\$100.95
სულ 8 ინდიკატორი	\$1,313.34			\$343.53

ინვესტიციებისა და დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ მომხმარებლების, სამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის დაფინანსებით განხორციელებულმა დაახლოებით 15 მილიონი დოლარის ღირებულების პროგრამებმა ათი წლის განმავლობაში შეიძლება 343 მილიონი დოლარის სარგებელი მოგვცეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი დახარჯული დოლარი 20 დოლარზე მეტ ამონაგებს მოიტანს.

კვლევის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.unicef.ge/uploads/REPORT-ge.pdf>